საქართველოს მემარცხენე სოციალ-დემ. სარევ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვეულად 7.000.000 მან.
ცალკე ნომერი უველგან 500,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი
1 გვ. 20 კაპ. ერთგზ. ხაზისათვის
4 „ 15 „ „ „
ხანგრძლივი განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 კ. ჩერვონეც.
4 „ 1 მ. — „

№ 616 პარასკევი, ნოემბრის 9, 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 500,000

ჩვენი ყრილობა

ჩვენი პარტიის ყრილობამ უკვე განიხილა უმთავრესი საკითხები. მან შეაფასა საერთაშორისო მდგომარეობა, გაუკეთა ანალიზი იმ ურთიერთობას, რომელიც შექმნილია საბჭოთა რესპუბლიკების ირგვლივ, გაითვალისწინა საშინაო მდგომარეობაც და გარკვეული, რევოლიუციონური გეზი, აღებული მთავარი კომიტეტისაგან მოიწონა და დაადასტურა.

ყრილობამ თავისი სიტყვა სთქვა კომპარტიასთან ურთიერთობის შესახებაც. სრული შეგნებით რევოლიუციონური ფრონტის გამტკიცებისა, სრული პასუხისმგებლობით ქართველი ხალხის ინტერესების წიხაშე, მან გარკვეულად, უყოყმანოდ განცხადა, რომ საჭიროა დღეს კომუნისტურ პარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანება.

მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ის გარემოება, რომ ეს დადგენილება არ შეჯახებია არც ერთ საწინააღმდეგო ხმას, იგი იყო სული და გული მთელი ყრილობის, იგი გამოხატავდა ყველა ორგანიზაციების აზრსა და ფიქრს. ჩვენთვის ამას ჰქონდა დიდი პოლიტიკური და მორალური ღირებულება. არც ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი, არც ერთი წევრი მთავარი კომიტეტისა არ იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ ჩვეულებრივი ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილიყო პარტიის არსებობის საკითხი. ჩვენ გვსურდა აბსოლიუტური უმრავლესობის ნებისყოფას დავმორჩილებოდით, თუ გინდ პერსონალურად ჩვენთვის ამ უმრავლესობის დადგენილება არ ყოფილიყო სასურველი.

ყრილობამ ნათლად დაგვანახა, რომ მთელი პარტია, პარტიის ყველა ორგანიზაცია, არა თუ თანახმაა კომუნისტურ პარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანების, არამედ იგი მოითხოვს ამ გაერთიანებას.

რას ნიშნავს ეს? რას გვეუბნება მთლიანი აზრის მომწიფება?

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს რიგებში არ არის არც ერთი არა მშრომელი ელემენტი, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს შორის არ მოიძებნება არც ერთი მერყევი პიროვნება, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ჩვენგანის იდეფიქსია რევოლიუციონური ბრძოლა, რაც თავდებია ყველა ერთა განთავისუფლების და შრომის სუფევის დამყარების.

აქ ზედმეტად მიგვაჩნია ჩვენი წასულის შესახებ ვრცელი ლაპარაკი. არც იმის აღნიშვნას შეუდგებით, თუ რამ დაახლოვა ჩვენი პარტია კომპარტიასთან და როგორია ჩვენი პოლიტიკური სახე. ყველა ამის შესახებ ჩვენ გვქონდა საუბარი მკითხველებთან ამ უკამასკნელ ხანებში. აქ აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ ჩვენი პარტიული ასსა სავსებით აღიზარდა რევოლიუციონური შეგნების ნიადაგზე. ამხანაგები ყრილობაზე მოვიდნენ არა ორჭოფული აზრებით და მიზნებით, არამედ მტკიცე სურვილით, რევოლიუციონური შეგნებით.

ყოველი კარგად გრძნობდა, რომ კომპარტიის რიგებში ჩადგომა არც ზეიმია და არც პერსონალურად საპატიო ადგილების ძებნა. ყველას ესმოდა, რომ ჩვენ ამიერიდან ჩვენს თავს უმორჩილებთ კომპარტიის რკინის დისციპლინას, რომელიც ჩვენგან მოითხოვს არა მარტო რაიმე თანამდებობის პირადად შესრულებას, არამედ ჩვენი სიცოცხლისაც რევოლიუციონურ ბრძოლებში შესაწირავად.

აქამდე თუ ჩვენ დამხმარე ძალას წარმოვადგენდით, ამიერიდან ჩვენი მოვალეობა რევოლიუციონერებს წინაშე კიდევ უფრო იზრდება და დიდდება.

პარტია სიხარულით კი არ მირბის გამარჯებულ ძალასთან, არამედ სრული შეგნებით საერთო საქმის ინტერესებისა, რომლის წინაშე იხრება პიროვნული თავმოყვარეობაც და პარტიული დროშაც ეს კი იმას ჰგულისხმობს, რომ ბრძოლები კიდევ წინა გვაქვს, უდიდესი გადამწყვეტი შეტაკებები მომავლის საქმეა. ამ რევოლიუციონურ ქარტეხილში საჭიროა ძალთა გაერთიანება და ჩვენც ამისაკენ ვესწრაფით.

ჩვენი სიხარული და ზეიმი იქნებოდა ვერსალის სასახლის თავზე გამარჯვებულ პროლეტარიატს რომ დაეჭდო წითელი დროშა. დღეს კი საერთო რიგებისაკენ მივეშურებით არა პირზე ღიმილით, არამედ შეკუმშული წარბებით, რაც ნიშანია ურყევი ნებისყოფისა. მტკიცე გარდაწყვეტილებისა, მდგომარეობის სერიოზულობის შეგნებისა და დიდი ბრძოლებისათვის მომზადებისა.

არც ჩვენი პარტია წარმოგვედგინა მონასტრად, სადაც დოგმატებზედ უნდა გველოცნა ყველას ერთად და კომუნისტური პარტია მიგვაჩნია ისეთ ძალათ, რომელიც ცოცხალი სინამდვილიდან მსხვერპლს სწირავდეს დოგმატიკის სამეფოს.

ლენინი იმიტომ კი არ არის დიდი რევოლიუციონერი, რომ იგი დიდი დოგმატიკოსია, არამედ პირიქით, იგი დიდი რევოლიუციონერია იმიტომ, რომ მეტად პატარა დოგმატიკოსია.

ჯერ კიდევ კომუნისტურ პარტიას ძალა-უფლება ხელში არ აეღო, როდესაც ლენინი სწერდა „წერილებს ტაქტიკის შესახებ“. მაშინ იგი ხაზგასმით ამბობდა, რომ მარქსისტის ჭეშმარიტი მოვალეობა ის კი არ არის, რომ გუშინდელ თეორიას ეგლაუჭებოდეს, არამედ ის, რომ იგი ცოცხალ სინამდვილეს უყურებდეს სწორად და აქედგან ისახავდეს სწორ პოლიტიკურ მიზნებსო ლენინი დასძენდა, რომ ყოველი თეორია უკეთეს შემთხვევაში შეიძლება დაახლოვებით ცდილობდეს სინამდვილის ამოწურვას. ეს სავსებით მართალია. სოციალური ცხოვრების სირთულე გაცილებით მეტია, ვიდრე რომელიმე თეორიის ფარგლები. რევოლიუციონური შემოქმედება და ბრძოლა მიმდინარეობს არა წინასწარ შემუშავებული „პლანების“ მიერ, რომელსაც ლახავს ვინმე „დიდი კაცი“, არამედ იგი ხშირად ააშკარავებს ისეთ მოვლენებს, რომლის შესახებ არც ერთ თეორიას არ ჰქონია რაიმე აზრი შემუშავებული.

რევოლიუცია იმდენად არის ძლიერი, რამდენათაც იგი სტიქიური აფეთქებაა ხალხის, ხოლო სტიქია იმიტომაც არის სტიქია, რომ მისი მომავალი წინასწარ შემუშავებულ ფარგლებში შეუძლებელია. ასეთი ექსპერიმენტი მენშევიკებმა სცადეს, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მათი ცდა დიდებული და შესანიშნავი დამარცხებით დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დოქტრინერობა პოლიტიკაში ყოვლად დაუშვებელია. ამით იმას არ ვამბობთ, რომ თეორეტიული აზრი უარყოთ და კონკრეტ მოვლენათა ლაბირინტში დავიკარგოდ. სრულიადაც არა. თეორია საჭიროა, ხოლო თეორია კი თავის თავად იმდენათ არის საღი, რამდენათაც იგი ახალ ახალ მიღწევებს იძენს, რამდენათაც იგი ხალ ფაქტებზედ ამოწმებს თავის დასკვნებს. ამ ხრივ კომუნისტური პარტია წინ უსწრებს ყველა პოლიტიკურ პარტიას. იგი მართლაც ცოცხალი სინამდვილის ობიექტიური ანალიზიდან გამოდის და ერთხელაც არ ებღაუჭება გუშინდელი დღის თეორიას თუ კი იგი არ შეეფერება დღევანდელ პირობებს.

ამიტომ არის, რომ რეფორმისტული, სოციალ-დემოკრატიული მარქსიზმის სრული ანტიპოდია ბოლშევიკური რევოლიუციონური მარქსიზმი.

ამიტომაც მოხდა, რომ ჩვენსა და კომუნისტებს შორის გამაერთიანებელი ხიდი გაიდვა. ჩვენ პარტიას არ ჰქონდა არც ერთი დებულება, რომელიც ეწინააღმდეგებოდეს ბოლშევიკურ მარქსიზმს. როგორც პოლიტიკურ სისტემას. აქ იმარხება ის უცნაურობა, რომელსაც ერთი შეხედვით ადგილი აქვს, რომ ჩვენ მარქსიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი, დღეს მარქსისტულ პარტიასთან ორგანიზაციულად ვაერთიანებთ ჩვენს რიგებს.

ჩვენთვის პარტიულ თავმოყვარეობის საკითხი არ სჭარბობს რევოლუციონურ საქმის ინტერესს და ხმა მაღლა ვამბობთ—სოციალიზმი უნდა დამყარდეს ბოლშევიკური მარქსიზმის დროშით, რევოლიუციას წინ უნდა უძღოდეს მარქსისა და ლენინის სურათი. ამას აქვს დიდი პოლიტიკური აზრი და დიდი პოლიტიკური ღირებულება. აქეთკენ მოუწოდებთ ჩვენ რიგებსაც.

არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. პარტიის ორგანოებს არავითარი იძულება, არავითარი ზეგავლენა არ მოუხდენია პარტიულ ორგანიზაციებზედ კომპარტიასთან გაერთიანების საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის. ის კონფერენციაც, რომელიც მოწვეული იყო ყრილობის წინ, სრულიად თავისუფალი იყო რაიმე გავლენისაგან. კონფერენციის წევრებმა არც იცოდა სხდომის გახსნამდე თუ რა საკითხი დაისმოდა მათ წინაშე. კიდევ მეტი. მთავარმა კომიტეტმა განზრახ არ გამოიტანა თავისი აზრი კონფერენციამდე, რომ ამით გავლენა არ მოეხდინა პარტიულ ორგანიზაციებზედ და კონფერენციის წევრებზედ. ხელმძღვანელ ორგანოებს და ამხანაგებს არც ერთხელ არ განუცხადებიათ ისიც, რომ ვინც გაერთიანებას მხარს არ დაუჭერს, იგი არ არის ჭეშმარიტი რევოლიუციონერიო. ეს არც ყოფილა დაშვებული და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ეს იქნებოდა როგორც პროვოკაცია, აგრეთვე შეურაცყოფა ყველა იმ თავდადებულ კომუნართა, რომლებმაც რევოლიუციის სამსხვეპლოზედ მიიტანეს თავისი სიცოცხლე, როგორც არა კომუნისტური პარტიის წევრებმა, არამედ როგორც ერთგულ და ჭეშმარიტმა მებრძოლებმა.

ჩვენ მხოლოდ ერთი დებულება შეიძლება წამოვაყენოთ—დღეს მებრძოლი რევოლიუციონერი, დარჩენილი კომუნისტური პარტიის გარეშე ვერ მოიტანს იმდენ სარგებლობას, რომლის მოტანა მას შეუძლია კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს ჭეშმარიტება იმ უბრალო დებულების შედეგია, რომ ძალების ორგანიზაციული გამოყენება, ასე ვთქვათ მისი რაციონალურად განაწილება მაქსიმალურ შედეგს გვაძლევს. ამიტომაც არის, რომ ჩვენმა პარტიამ საკუთარი, დამოუკიდებელ არსებობაზედ ხელი აიღო. პარტიის ყრილობას, რომ არ გაეზიარებია კომპარტიასთან ორგანიზაციული გაერთიანება, რასაკვირველია პარტია ამით რეაქციონური სრულიადაც არ იქნებოდა, მაგრამ მას უფრო ნაკლები სარგებლობის მოტანა შეეძლებოდა რევოლიუციის საქმისათვის, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი საერთო ორგანიზაციულ გეგმების მიხედვით ჩადგება რევოლიუციის ავანგარდში.

ეს ისტორიული აქტი, ჩვენი პარტიის ნებასურვილის გამომხატველი, დიდი მნიშვნელობის არის არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორიისათვისაც. შეიძლება მომავალმა თაობამ ბევრი რამ შეცდომანი აღმოაჩინოს ჩვენ მოღვაწეობაში, რასაც ეხლა ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ იგი უეჭველად იმასაც აღნიშნავს, რომ ჩვენ გარეშე პიროვნულ და პარტიული თავმოყვარეობისა და ანგარებისა ვემსახურებოდით რევოლიუციონურ მოძრაობას, რომელმაც უნდა შემოამტვრიოს ბორკილები დაჩაგრულ ერებს და დამონებულ კლასს და თავისუფალი შემოქმედების გასაქანი მისცეს კაცობრიობას პროგრესისა და განახლებისათვის.

ოქტომბრის რევოლუციისა და საქართველო

ერთის ხელის დაკვრით გაანიავა რუსეთის პროლეტარიატის რისხვამ რუსეთის ბურჟუაზიის ძალა-უფლება, რომელიც პროლეტარიატისაგან რუსეთის თვითმპყრობელობის ტახტის დამსხვრევის შემდეგ ლამობდა კვლავ მონობის უღელი დაედგა რუსეთის მშრომელ ხალხისათვის და რუსეთის უზარმაზარ ტერიტორიაზე, სადაც მანამდე საუკუნეების განმავლობაში დათარეშობდა აღვირ-ახსნილ შავი რეაქცია, სადაც საუკუნეების განმავლობაში ფრიალებდა ტანჯვისა და მონობის შავი დროშა, იქ ძლევა მოსილმა მუშაობა კლასმა ააფრიალა თავისუფლების წითელი დროშა, ემბლემა შრომის ბატონობისა.

როგორც საშინელი ქარიშხალმა, ისე გადაიარა რუსეთის რევოლიუციის გუგუნმა მთელ დედამიწის ზურგზე და შიშის ჟრუანტელი მოჰგვარა მთელი ქვეყნის მყვლეფელთა კლასებს.

როგორც გაზაფხულის ამომავალი გზის სხივებმა, ისე შეანათა რუსეთის რევოლიუციის ცეცხლის ალმა მთელი ქვეყნის ტანჯულთა და ტვირთმძიმეთა უბირ ქოხმახებში და დაჩაგრულთა დაწყლულებულ გულებში აღანთო მომავალი გამარჯვების იმედი.

გაიმარჯვა პროლეტარიატმა, დამარცხდა ბურჟუაზია! აი, ის სანატრელი სიტყვები, რომლებსაც მრავალი წლების განმავლობაში გულის ცემით მოელოდა რუსეთის მშრომელი მასსა და რომლებსაც მოუთმენლად მოელიან ევროპის და მთელი ქვეყნის მშრომელები.

ეს სიტყვები რუსეთის სინამდვილეში ფაქტად იქცნენ ექვსი წლის წინეთ და ამ სიტყვების სინამდვილის შენარჩუნებისათვის რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა გლეხობამ ზღვა სისხლი დაღვარეს გმირულ ბრძოლებში ამ ექვსი წლის განმავლობაში.

რუსეთის ბოლშევიკებმა მოაწყვეს რუსეთის პროლეტარიატის ამბოხება ბურჟუაზიის წინააღმდეგ და მათი ხელმძღვანელობით ჩაიგდო პროლეტარიატმა ძალა უფლება ხელში. მტკიცედ დაიჭირე ძალა უფლება ხელში და იბრძოლე უკანასკნელ სისხლის ბოლამდე მის შესანარჩუნებლად,—ეუბნება რუსეთის კომუნისტური პარტია პროლეტარიატს და ითონ აურაცხელ მსხვერპლს სწირავს მუშათა კლასის ძალა უფლების განმტკიცების საქმეს.

რუსეთის მენშევიკები ყოველ ფეხის გადადგმაზე ხელს უშლიდნენ პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდების საქმეს და როდესაც მათი სურვილის წინააღმდეგ, პროლეტარიატმა ბოლოს მოსტეხა კისერი ბურჟუაზიას და გამოაცხადა თავის დიქტატურა, მენშევიკების ლიდერები გამოდგნენ და დაუწყეს პროლეტარიატს დარიგება: —დაუბრუნეთ ძალა-უფლება ბურჟუაზიას, შედით ფაბრიკა ქარხნებში და იშრომეთ მის სასარგებლოდ, თორემ რუსეთის მრეწველობა დაინგრევა, რუსეთი დაიღუპება და თქვენ თან გადაყვებითო. რკინის კოცხი აიღო ხელში პასუხად პროლეტარიატმა და ეს რევოლიუციის ნაგავი,—რუსეთის სოციალ დემოკრატია გამოჰგავა რუსეთის სინამდვილიდან.

მთელი ქვეყანა გაჭყო შუაზე ოქტომბრის რევოლიუციამ და ამავე რევოლიუციამ საქართველოს ს. ფედერალისტთა პარტია შუაზე გააპო. ოქტომბრის რევოლიუციამ, როგორც ყველგან ისე ამ პარტიაშიც აზრთა აბობოქრება გამოიწვია და ამ აზრთა აბობოქრებას მოჰყვა აზრთა სხვა და სხვაობა. ერთი ნაწილი პარტიისა ამხ. თ. ღლონტის, ს. ხუნდაძის, პ. ჭანიშვილის და სხვების მეთაურობით სიხარულით შეხვდნენ ოქტომბრის რევოლიუციას 1917 წლიდანვე და ყველა ამხანაგებს მხურვალედ მოუწოდებდნენ ამ რევოლიუციის დასაცავად. მეორე ნაწილი კი ძველი მთავარი კომიტეტის მეთაურობით უარყოფითად უყურებდნენ ამ რევოლიუციას და ურჩევდნენ ამხანაგებს გამიჯნულიყვნენ მისგან, იმ ხანებში პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენ ს. დადიანი და ი. ბარათაშვილი.

— თქვენ გეშინიათ დამარცხების—ეუბნებოდა ს. დადიანი გ. ლასხიშვილის ჯგუფს. რევოლიუციონერებს არ შეშვენის შიში. პარიჟის კომუნარებს ალყა შემორტყმულ პარიჟშიაც კი არ შეშინებიათ და პარიჟის პროლეტარიატის სახელით მიელ ბურჟუაზიულ ქვეყანას ომი გამოუცხადეს, რითაც დაიმსახურეს მთელ სამყაროს მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა. ბრძოლა შრომისა და კაპიტალს შორის დაწყებულია. ჩვენ რევოლიუციონერები უნდა ჩავდგეთ შრომის დაცვის რაზმებში და შევებათ მტერს. ან უნდა გავიმირჯვოთ ან გავწყდეთ ბრძოლის ველზე.

— თქვენ ამბობთ, რომ სოციალიზმისათვის პირობები მომწიფებული არ არის,—ეუბნებოდა იმავე ჯგუფს ი. ბარათაშვილი, სასაცილოა, თქვენ ფიქრობთ, რომ სოციალიზმი პანტაა, რომელიც მომწიფების შემდეგ ძირს ჩამოცვივა და თქვენ შეგეძლებათ იმით პირი ჩაიგემრიელოთ, არა სოციალიზმი ბრძოლით და სისხლის ღვრით უნდა დავამყაროთ, ჩვენ თითონ უნდა შევქმნათ პირობები მის განსახორციელებლად.

რა ლამაზი სიტყვებია, როგორც ერთის ისე მეორის, რომ ეს სიტყვები მხოლოდ სიტყვებად არ დარჩენილიყვნენ და ამ სიტყვების პატრონებს არ ელალატნათ თავიანთი სიტყვებისათვის.

ერთი სიტყვით ოქტომბრის რევოლიუციის მიღების ნიადაგზე ამ პარტიაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებდა ეს ბრძოლა ბოლოს პარტიის შუაზე გაპობით დასრულდა

სამაგიეროდ საქართველოს მენშევიკებში ოქტომბრის რევოლიუციის აქტს არ გამოუწვევია არავითარი აზრთა წინააღმდეგობა, პირიქით ისეთი ერთსულოვნება, როგორიც ამ პარტიაში არსებობდა ოქტომბრის რევოლიუციის უარყოფითად მიღების საკითხში, არც ერთ სხვა საკითხებში ამ პარტიას არ გამოუჩენია და რადგანაც იმ დროში საქართველო ითვლებოდა მენშევიკურ სიმაგრედ, მათ მესძლეს დიდი საზღვრები აღემართათ რუსეთის რევოლიუციის და საქართველოს შორის. რასაკვირველია, ამ საქმეში მათ დიდათ უწყობდნენ ხელს, როგორც მემარჯვენე ს.-ფედერალისტები, აგრეთვე ნაციონალ დემოკრატები და სხვა წვრილი ბურჟუაზიული პარტიები.

ამ საზღვრების აღმართვის შემდეგ იწყება საქართველოში დამახინჯება ყოველნაირი რევოლიუციონური აზრისა, ჩაქრობა რევოლიუციონური შემოქმედებისა და პირდაპირ შეუძლებლობა რევოლიუციონურად განწყობილ მუშათა მასსებისათვის რუსეთის რევოლიუციასთან კავშირის დაჭერისა.

მოახდინეს რა ლიკვიდაცია ყველა რევოლიუციონურ მონაპოვართა და გაამეფეს რა მახინჯი დემოკრატიული წესები ბურჟუაზიული შემოდგომელი კამერებით და ყველა სხვა კაპიტალისტური წეს წყობილების ატრიბუტებით, მათ დაიწყეს ძებნა მოკავშირეებისა და მათი დასავლეთის თანამოაზრეთა დახმარებით კიდევაც ჰპოვეს მართლაც „სახელოვანი“ მოკავშირეები კაპიტალისტური ქვეყნების ბურჟუაზიული მთავრობათა სახით, გაიმაგრეს რა ზურგი დასავლეთის ბურჟუაზიით, მენშევიკებმა დაიწყეს დევნა მუშათა ორგანიზაციებს, ახსნეს აღვირი ქართველ ბურჟუაზიას—სპეკულიანტებს და მისცეს მას საძიძგნათ საქართლოს მუშები.

მაგრამ რევოლიუცია უფრო ცხოველ მყოფელი აღმოჩნდა ვინემ მენშევიკებს ეგონათ, მისი დაწყებიდან სამის წლის შემდეგ მისი ტალღები მოასკდა საქართველოს საზღვრებს, გრგვინვით გადაიარა მთელ საქართველოს ციწა-წყალი და შავი ზღვის ბობოქარ ტალღებს მისცა საქართველოს ს.-დემოკრატიული ნაგავი. საქართველო შეუერთდა რუსეთის დიდ რევოლიუციას და დადგა საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის სადარაჯოზე. და დღეს, როდესაც ჩვენ ვხედავთ ს. ს. რ. კავშირის ტერიტორიაზე ანტისაბჭოთა ძალების ფრონტის დაშლას, როდესაც როგორც რუსეთის ისე საქართველოს ოდესღაც ძლიერი მენშევიკური პარტია გაჰქრა ვითარცა ქაფი ზღვისა, მაშასადამე დაინგრა ციტადელი კონტრ-რევოლიუციისა, ჩვენ შეგვიძლია შინაური რეაქცია სამუდამოდ დამარცხე-

ბულად ჩავთვალოთ და ბრძოლის რაზმები ვამზადოთ საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის მოსახდენად.

ჩვენი პარტია და ამ ბოლო ხანებში მთელი საქართველოს მშრომელი მასები ფაქტიურად დარწმუნდა იმაში, რომ ქართველი ერის ხსნა, მუშათა კლასის განთავისუფლების გზაა მხოლოდ ტ მხოლოდ. ოქტომბრის რევოლიუციის დიდი გზით მიექანება, ოქტომბრის რევოლიუციამ დაშალა, დაარღვია ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, გაანთავისუფლა რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზე ყველა მოსახლე ერები, შეუქმნა მათ ნაციონალური არსებობისა და განვითარების კერა,—პოლიტიკური პარტიები და ამგვარი სახით განამტკიცა უდიდესი კავშირი სოციალისტური რესპუბლიკებისა. დიადი ლოზუნგი დაჩაგრულ ერთა განთავისუფლებისა ოქტომბრის რევოლიუციამ თავის საზღვრებს გადაღმაც გადაისროლა და მოძრაობაში მოიყვანა აზიის, აფრიკისა და თვით ევროპის დაშინებული ერები. ოქტომბრის რევოლიუციით იწყება ერების ნამდვილი, რეალური განთავისუფლება და მისი გაძარჯვება მსოფლიო მაშტაბით უდიდესი საწინდარი არის თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირის შესაქმნელად.

ისტორიული ცხოვრების მიმდინარეობა საქართველოს ბედი დიად კომუნისტურ მოძრაობას დაუკავშირა და ამ ფაქტში ჩვენმა პარტიამ თავიდანვე დაინახა ჩვენი ერის ხსნისა და გამარჯვების უდიდესი საწინდარი.

ოქტომბრის რევოლიუციით ექვსი წლის თავი ჩვენთვის უნდა აღინიშნოს მომავალ დიად გამარჯვებათა მოლოდინით საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის ფრონტზედ.

ი. ვადაჭკორია.

მომენტი და ახალგაზრდობა.

სოციალური რევოლიუცია ადამიანთა გადახალისების, სოციალ-პოლიტიკურ შენობის ძირეული გარდაქმნის პროცესია. იგი ხანგრძლივი პროცესია, მსვლელობა მთელი რიგი ფაზებით, საფეხურებით, დაკვალული.

თანამედროვე ეპოქა, სწორეთ სოციალურ რევოლიუციის ეპოქაა, სოციალური სულისკვეთებით აღბეჭდილი. ამ მხრით ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავი არსებულ მომენტის მთელი შინაარსი კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთი მხარე, ერთი საფეხური.

ამ აზრით რუსეთის რევოლიუცია მხოლოდ შესავალია აუცილებელ მომავლის, პროლოგია საერთაშორისო ტეხილების. რუსეთის რევოლიუციის დღევანდელ მესვეურებს ხვდათ წილად მხოლოდ, ძალთა დარაზმვა, რევოლიუციონურ ენერგიის დაკუმშვა, ბრძოლის ორგანიზაცია. ფაქტიურად კი რევოლიუციის ეპოქის ისტორია, რევოლიუციის მთელი სიღრმე ისევე არ დაიწურება ამ ექვსი წლით, როგორც არ შეიძლება ვიფიქროთ, თითქოს მხოლოდ დღეიდან იწყება საერთაშორისო რევოლიუციისათვის ბრძოლა, რევოლიუციისათვის საერთაშორისო საქმიანობა.

რევოლიუციის ხელმძღვანელთ კარგათ ესმით თანამედროვე მოძრაობის ამოცანები: ამ მხრით არის გამართლება ამ მოძრაობის, როგორც სოციალისტურ რევოლიუციისაც: კაპიტალიტურ წყობილების დანხობა და არჩილის სიტყვებით რომ ვსთქვათ „დიდებული კითხვის, სოციალური განახლების“ რეალიზაცია, ეს ის ამოცანაა, საერთაშორისო—რევოლიუციისაკენ რომ სვამს წამოჭრილ საკითხის გადაჭრის აუცილებლობას. გასაგებია თავისთავად ფორმულაც, „რუსეთის რევოლიუცია გაიმარჯვებს, როგორც საერთაშორისო რევოლიუცია, ან სულ ვერ გაიმარჯვებს“ ეს ასეც უნდა იყოს. ამ ფორმულაში მომენტის ღრმა ამოცნობაა. ჭეშმარიტ რევოლიუციონერისათვის ისეთი არის რევოლიუციის შინაარსი არსებითად გაგებული. მაგრამ არა ისე, თითქოს **მხოლოდ** რუსეთი იყოს საერთაშორისო რევოლიუციის გამოსავალი წერტილი. საწყისი, ძირითადი წყარო, არამედ ამ მხრით იგი მხოლოდ გზაა. საფეხური მთელ რიგ ისტორიულ პირობების ერთი **ეპიზოდიური გამოეღავნებაა მხოლოდ** თანამედროვე რთული ვითარების; საერთაშორისო მასშტაბით დიდი ხნით დაგროვილ ენერგიამ გამოსავალი, მსოფლიო რევოლიუციაში უნდა ჰპოვოს. რუსეთი მხოლოდ ძალებს რაზმავს, მსოფლიოს ასაფეთქებლად ცეცხლს ინახავს. რევოლიუციის ბელადებმა კარგად გაიგეს რუსეთის რევოლიუციის აღლო მსოფლიო ვითარებით რომ იყო გამოწვეული და საერთაშორისო რევოლიუციის მესვეურება დააკისრეს მოსკოვს. **დღევანდლამდე** მოსკოვი რევოლიუციის ცენტრია.

ჩვენმა პარტიამ თავიდანვე სისწორით ამოიცნო რთული მომენტის შინაარსი და საერთაშორისო რევოლიუციად დასახა თანამედროვე მოძრაობა. მას კარგად ესმოდა, რომ უკვე „არსებობს ნიადაგი დიდი და ხანგრძლივი რევიციონური მოძრაობის.“ რომ ეს მოძრაობა რუსეთის რევოლიუციით არ არის ამოწურული არამედ სოციალისტურ შინაარსის არის, და „სოციალისტურ მოძრაობის დასასრული კი ერთად ერთი პირობაა კაპიტალიზმის დანგრევის და სოციალ ეკონომიურ კულტურის აყვავების“, (რეზოლიუციები პარტ ყრილობის) ამიტომ გარკვევით აღიარა:

„საქართ. მემარც. სოც.-ფედ. სარევოლიუციო პარტია სავსებით სდგას საერთაშორისო რევოლიუციის ნიადაგზე“, ამით მან მომენტის არსებულ მდგომარეობის საღი შეგნების უნარი კი არ გამოიჩინა მარტოდ, არამედ პრაქტიკული გამართლება და განაღდება მისცა იმ დებულებებსაც, რომელიც ჩვენი პარტიის ძირითად საფუძველს შეადგენდნენ ეროვნულ და სოციალისტურ მომენტთა თვალსაზრისით.

მემარჯვენეთა რიგები სწორედ საერთაშორისო პირობების ვერ გაგებამ, რევოლიუციის არა სწორმა შეფასებამ გააკოტრა იდეოლოგიურად. მენშევიკური ბანაკი ჩვენში თუ ირღვევა მომენტის სა ღი შეგნებით, ჩვენი ყოფილი პარტიის „რიგების“ დაშლა-დარღვევას იდეოლოგიური რესტავრაციაც აცხოველმყოფელებს, **ერის და სოციალიზმისათვის ჭეშმარიტი სამსახური, რევოლიუციონურ მუშაობაში, აქტიურ საქმიანობაში ჰპოვებს საღ გამართლებას**, აი კვინტ-ესენცია დღევანდელი, ჩვენი პოლიტიკის და ყოველ ჭეშმარიტ რევოლიუციონერისაც ეს დებულება დღეს მაინც საანბანოთ უნდა იქცის და რამდენადაც ეს მოსაზრება გვახელმძღვანელებს ჩვენ და ჩვენს ყოფილ ამხანაგებს იმდენად თეორიულად ვამართლებთ და პრაქტიკულად დღეს ვანაღდებთ იმ ლოზუნგებს, საითკენაც „პარიზის საქართველოს“ ტრიბუნიდან არჩილ ჯორჯაძე მოუწოდებდა ქართველ ერის რევოლიუციონურ ძალებს. სოციალისტურ რევოლიუციონურ აქტივობაში ხედავდა ერის წმიდა სამსახურს.

ახალგაზრდობამ თავიდანვე შესანიშნავი გამოცდა დაიჭირა პარტიის რევოლიუციონურ იდეოლოგიის ძირითად პრინციპთა განაღდებაში და თავიდანვე სოციალისტურ და რევოლიუციონურ სულისკვეთებით გამაცოცხლებელი ნაკადი შეჰქონდა ძველ პარტიის რიგებში.

„დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“ უცნობი ფორმულა იყო იდეოლოგიურად ჩვენი პარტიისათვის, ოფიციალ პარტიამ რევოლიუციის შეფასებით, აშკარად მიიღო ეს ფორმულა და მენშევიკურ ოპორტიუნიზმის ჭაობში ჩააღრჩო ძირიანად. ახალგაზრდობა, ცხადია როგორც ყოველთვის რევოლიუციონურ აქტივიზმის მატარებელი ელემენტი ჩვენს პარტიაში, ვერ შეეგუებოდა ამ პოლიტიკას, ამ ყალბ გზას. ეს ასეც იყო. საქარ. სოც.-ფედერ. სარევოლიუც. პარტიის ახალგაზრდათა ძალები ყოველთვის მემარცხენეობდა და წარმოადგენდა დიდს კადრს პარტიის რევოლიუციონურ ნაწილისას. ახალგაზრდობა ის ცხოველ მყოფელი ძალა იყო, რომელსაც ყოველგან რევოლიუციონური ინიციატივა შეჰქონდა და ვერ ურიგდებოდა მენშევიკურ ოპორტიუნიზმს. ეს ადგილი გასაგებიც არის. სოციალიზმ-ფედერალიზმის მოძღვრების მაღიარებელი პარტია. რომლის ერთ უმთავრეს დებულებას სოციალურ მომენტების და ეროვნულ თავისუფლების სინოეზი შეადგენდა. რომელიც მეღავნება მხოლოდ აქტიურ სოციალიზმის, აქტიურ რევოლიუციონიზმის აღიარებაში, თავს უყრიდა ახალგაზრდობის ეროვნულ ძალებს, სოციალისტურად მოაზროვნე ძალებს. ეროვნება და სოციალიზმი აი ეს არის პრინციპი რომლის გარშემოც იკრიბებოდა ახალგაზრდობა და რომლის ჭეშმარიტი სამსახური ურთიერთ-მორის მათ ვერ დაშორებდა. ახალგაზრდობას კარგად ესმოდა რომ სოციალისტური საქმიანობა, არსებითად ეროვნული საქმეც იყო და ინტუიციით, ფსიქოლოგიურად სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის გარშემო ირაზმებოდა. ცხადია ამ ფსიქოლოგიის ინტუიციას ვერ გაამართლებდა პარტიის ის ნაწილი, რომელიც მენშევიკურ ოპორტიუნიზმამდე დავიდა ეროვნული დროშა და სოციალისტური დროშა კი მიივიწყა. ეს იყო ღალატი არა მარტო—სოციალიზმის, არამეო ერისაც, იდეოლოგიის დამახინჯებაზედ რომ არ ვსთქვათ რამ და ცხადია ახალგაზრდობა ფსიქოლოგიურად აქტიური და იდეოლოგიურად რევოლიუციონური ერისა და სოციალიზმისათვის მედგარ ბრძოლას არ შეაჩერებდა ასეთ ოპორტიუნისტულ პოლიტიკის წინააღმდეგ.

დღეს ფაქტია, რომ საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილ სოციალისტურმა და საღმა ეროვნულმა პოლიტიკამ გამოფხიზლებულ ახალგაზრდობას ფაქტიურად გადაადგმევინა ნაბიჯი იქით, საითაც ისტორიულად მოწოდებული იყო იგი და საითაც მოუწოდებდა მას ერისა და სოციალიზმის საქმეც.

რა თქმა უნდა ბევრის თქმა არაა საჭირო, თუ სად უნდა ყოფილიყო რევოლიუციონურ ახალგაზრდობის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს დროშის ქვეშ ირაზმებოდა მემარცხენე სოციალისტ ფედერალისტთა პარტიის რიგებში თავმოყრილმა ახალგაზრდობამ საკმაოთ შეგნებული პასუხი გასცა და ნამდვილ რევოლიუციონურ საქმიანობით დაამტკიცა სოციალიზმის წმიდა სამსახური.

დღეს წყეული მომენტის საკითხია ჩვენ წინ წამოჭრილი. ჩვენთვის უკვე მოხსნილია დღეს ის საკითხი, თუ სად უნდა ვიყოთ. მომენტი სხვას გვიკარნახებს: რა ვაკეთოთ? დღეს ეს საკითხები ხელმეორედ მწვავედ სდგას ჩვენ წინ და ჩვენმა ახალგაზრდობამ, ყოველ მხრით აწონ-დაწონილი პასუხი უნდა გასცეს.

აი როდესაც ასე სდგას საკითხი, ჩვენთვის ცხადია და გასაგები, რომ თუ დღევანდლამდე ერისა და სოციალიზმისათვის რევოლიუციას ვემსახურებოდით, რევოლიუციისათვის ვიბრძოდით და ვმუშაობდით, ამიერიდან ერისა და სოციალიზმისათვის უშუალოდ უნდა ჩავებათ რევოლიუციონურ საქმიანობაში, აქტიური მუშაობა გავწიოთ თვით რევოლიუციის დიად ლოზუნგების გასანაღდებლად.

საერთაშორიწო რევოლიუციის რიგებისკენ, აქტიურ რევოლიუციონურ მოქმედებისაკენ ერისა და სოციალიზმისთვის აი რას გვეუბნება ჩვენ დღეყანდელი მომენტი.

ახალგაზრდობაც დედა პარტიას არ ჩამოშორდება.

შ. ქართველიშვილი.

პრესის მიმოხილვა

პარტიის ახალი ამოცანები.

მოსკოვის გაზეთ „პრავდაში“ ამხ. ზინოვიევი ამ სათაურით სწერს:

„როგორ მდგომარეობაში უხვდება რევოლიუციის მე—6 წლის თავს მუშათა კლასი, რომელიც შეადგენს ჩვენი ქვეყნის საფუძველს .....(გამოტოვებულია). საქმე გაუმჯობესების გზას დაადგა, კლასთა შორის საზღვრების წამლა და მუშათა კლასის დაქსაქსვა, უეჭველია, შესწყდა. პროლეტარიატის შემადგენლობა თავის თვისებით გაუმჯობესდა, მუშათა შემადგენლობა მუდმივი ხდება, მთავარ სამრეწველო ცენტრებში ათასობით და ათი ათასობით ბრუნდებიან მუშები, რომელნიც რევოლიუციის პირველ წლებში სოფლებში გაიფანტნენ.

ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში ხელახლად ჩნდება პირველი ხელოსანი—ძველი მუშა, ტახტის პროლეტარი.

ჩვენი სამრეწველო მუშების ნამდვილი გული ხელმეორედ იყრის თავს საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნების ჭერს ქვეშ. ამაშია მთავარი საწინდარი ჩვენი მეურნეობის გაუმჯობესებისა. ესევე მოვლენა გზას უხსნის ახალ პოლიტიკურ შესაძლებლობას.

საშუალო უპარტიო მუშის კულტურულმა დონემ ამ წლების განმავლობაში საკმარისად წაიწია წინ. ამ დროს განმავლობაში შეიქმნა მუშათა ახალგაზრდობის ახალი შთამომავლობა, საკმარისად ამაღლდა საშუალო მუშა. რევოლიუციას არ ჰქონდა მატერიალური საშუალება უცბად გაეუმჯობესებინა მრავალ-მილიონიან მუშათა მასის მდგომარეობა, სამაგიეროდ კულტურულად მუშათა კლასი არა ჩვეულებრივ სიმაღლეზე აიყვანა მან“. მოჰყავს რა ამხ. ზინოვიევს მთელი რიგი ცნობებისა ამის შესახებ, განაგრძობს:

„ჩვენი უჯრედები (პარტიული) ვერ არის საკმარისად ძლიერი რიცხობრივად. მაგრამ უმთავრესი ამოცანაა—გავაუმჯობესოთ იგი თვისებით. უპარტიო მუშათა უმრავლესობა კულტურულად უჯრედების წევრებზედ დაბლა არა დგანან, ხოლო ხშირად უფრო მაღლაც.

პეტროგრადის ქარხნების მუშათა შესახებ ეს დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს. წმინდა პოლიტიკურს სფეროში უჯრედების წევრები თითქმის მუდამ მაღლა სდგანან შეგნებით უპარტიო მასებზე, მაგრამ მეურნეობისა, კულტურულსა და ზნეჩვეულების საკითხებში არის ამის საწინააღმდეგო მოვლენებიც. კულტურულ დონის ამაღლებას უპარტიო მუშათა ფართო მასებში შეუძლიან გახდეს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების [illegible] დესი ძალის წყაროდ, თუ ჩვენ [illegible] წინებთ ამ მოვლენ[illegible] საორგანიზაციო [illegible] ალმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი შეიძლება გახდე[illegible] უმრავ გაუგებრობათა მიზეზად ჩვენსა და უპარ[illegible]ტიო მუშებს შორის და შეგვიქმნას არა ერთი [illegible]ორი ძლიერი დაბრკოლება. კულტურულად ამაღ[illegible]ლებულ მუშას ჰსურს, და აქვს კიდეც სრული უ[illegible]ლება, მეტი მონაწილეობა მიიღოს თვისი ქარხნ[illegible] სამეურნეო ცხოვრებაში, მეტი გავლენა იქონი[illegible] თავის პროფკავშირზედ და საქმეზედ გამოიყენ[illegible] თვისი უფლებები საბჭოში.

ჩვენი პარტიის უმთავრესი ამოცანაა დღევ[illegible]დელს ხანაში—ჩაუდგეს სათავეში უპარტიო მუშ[illegible]თა ამ მოძრაობას, შესძლოს მათთან ერთად გამო[illegible]ძებნოს სერიოზული საქმის გზები, მუშათა ამ [illegible]ნონიერ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლ[illegible] ჩვენი სხვილი წარმოების ფაბრიკა ქარხნების კომ[illegible]ტეტები 85 პროც. კომუნისტებისაგან შესდგება. [illegible]კარგია, მაგრამ საშუალო პროცენტი კომუნისტებ[illegible]სა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტებში ყველა პროფ[illegible] კავშირებში ვერ არის ჯერ სათანადო სიმაღ[illegible]ლეზე.

პეტროგრადში ფაბკომებში და პროფკავშ[illegible]რებში 1923 წ. 1 თებერვლისათვის საშუალო პრ[illegible]ცენტი კომუნისტებისა იყო 18,5 პროც., პირვ[illegible] ოქტომბრისათვის—22.8 პროც., ხოლო სხვა მუ[illegible]თა ცენტრებში შეფარდება, ალბად, უფრო ნაკლ[illegible]ბად ხელსაყრელია ჩვენი პარტიისათვის. ფაბრიკ[illegible]ქარხნებზე არჩევნებში კომუნისტები დაახლოვებით[illegible] შემდეგის თანხდათანობით გადიან: საბჭოებში კომუ[illegible]ნისტებს ადვილად ირჩევენ, ფაბრიკომები-უკვე უფ[illegible]რო ძნელად, პროფესიონალურ რწმუნებულად—უფ[illegible]რო ძნელად, ხოლო შემფასებელ—საკონფლიქტ[illegible] კომისიაში კომუნისტების გასვლა სულ გაძნელებ[illegible]ლია ეს იმის დამამტკიცებელია, რომ მუშათა მას[illegible]ბი საერთო პოლიტიკურ ხელმძღვანელობას გვა[illegible]დობენ ჩვენ, მაგრამ როცა საქმე შეეხება ხელფა[illegible] მუშების ყოველდღიურ ცხოვრებას—მაშინ კომუნი[illegible]ტებს აღარ ირჩევენ გულიანად.

აქ იწყება ჩვენი პარტიული უჯრედებისათ[illegible] დიდი სამუშაო. ისინი უნდა გადაეჩვევნენ ყვ[illegible] სამეურნეო საკითხის მხოლოდ უჯრედში გადაწ[illegible]ტას. მათ თავის თავს უნდა უყურონ, როგო[illegible] მთელი ქარხნის კომუნისტურ ფრიქციას. ეს ეხ[illegible] ყველა კომუნისტებს, რომლებიც არიან ფაბკომებ[illegible]

მსოფლიოს საეურნეო კონიუნქტურა და ჩვენი ეკონომიური აღმშენებლობა

„...ამ კრიზისის ბოლოს მოხდება მთელი საზოგადოებრივი წესწყობის დაცემა, რომელიც, კრიზისის მსვლელობისა და მასების ტემპერამენტის მიხედვით, ერთ ქვეყანაში ადრე მოხდება, ხოლო მეორეში უფრო გვიან, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს ყველგან უნდა იფეთქოს სოციალურმა რევოლიუციამ.“

ვ. ფედერნი.

დღეს სრულდება ექვსი წლის თავი, რაც მსოფლიოში უმაგალითო ამბავი მოხდა და თუ რუსეთის ვრცელს ტერიტორიაზე აღმოცენდა ახალი წყობილება, ახალი სამეურნეო მიზნებითა და მეთოდებით, საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განსტკიცებით უდიდესი ლახვარი მოხვდა კაპიტალისტურ მეგრნეობასა და მისი აღსასრულის დღეები დაიწყო. მაგრამ კაპიტალიზმს სპობს და ანადგურებს არა მარტო პროლეტარული რევოლიუცია, არამედ ის შინაგანი წინააღმდეგობანიც, რომლითაც დასნეულებული არის იგი.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ოქტომბრის რევოლიუციის ექვსი წლის თავზე—თვალი გადავავლოთ რაც შეიძლება მოკლეთ კაპიტალისტურ მეურნეობის ვითარებასა და იმ კონიუნქტურას, რომელიც შეიქმნა მსოფლიო მეურნეობაში ომის შემდეგ. კაპიტალიზმის კრიზისი და იქ შექმნილი გამოუვალი მდგომარეობა ერთ-ერთი უდიდესი საწინდარი არის პროლეტარული რევოლიუციის გასავითარებლად და გასამარჯვებლად მსოფლიო მაშტაბით. უკანასკნელი წლების ეკონომიური ცხოვრების ცნობები ჩვენ გვეუბნება, რომ კაპიტალიზმი განუკურნელი სენით არის დაავადმყოფებული და კაცობრიობის ერთად ერთი მხსნელი არის სოციალისტური მეურნეობა და მისი ორგანიზაცია. მენშევიკური პარტიების იდეოლოგებს ასეთი დასკვნა არ მოსწოთ, ისინი ხსნას კაპიტალისტურ მეურნეობაში ეძებენ და ყოველ—ფეხის ნაბიჯზე გვიმტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი უკვე განიკურნა და აღორძინების გზას დაადგაო. რამდენად მართალია ასეთი დასკვნები? გავსინჯოთ ფაქტები.

მსოფლიოს ეკონომიური კრიზისი, რომელიც 1920 წლის დასასრულიდან დაიწყო განსაკუთრებული ინტენსივობით, სახალხო მეურნეობის იმ დეპრესიულ მდგომარეობათა ანალოგიას აღარ წარმოადგენს, რომელნიც ასე ხშირად ესტუმრებოდენ ხომლე კაპიტალისტურ წარმოებისა და გაცვლა-გამოცვლას. კრიზისები, რომელნიც მე-20 საუკ. პირველ წლებში ხდებოდენ, კაპიტალიზმის განვითარების ფაზისში შემავალნი იყვნენ და მიუხედავად ასეთ პერიოდულ დეპრესიებისა,—მაინც აღმავალი ტენდენციას მოწმობდენ. ეს კრიზისები თითქოს განმჯანსაღებელ, გამომაფხიზლებელ საშვალებ[illegible] წარმოადგენდენ სახალხო მეურნეობისათვის, რი[illegible]ლის მინელების შემდეგ წარმოება ფრთებს შლი[illegible] და გაძლიერებული ტემპით მიისწრაფოდა განვით[illegible]რებისაკენ.

ამ ხნის განმავლობაში კაპიტალიზმი არა [illegible]რტო გეოგრაფიულ სივრცით იზრდებოდა და ი[illegible]ვის გავლენის სფეროში აყენებდა ახალ-ახალ ქ[illegible]ყნებს, არამედ ის თავისთავად, შინაგანი ძალე[illegible] თაც მძლავრდებოდა და ახალ ფორმებს იღებ[illegible] ამ განვითარებას საფუძვლად ედვა კაპიტალე[illegible] დაგროვება, მათი ორგანიზაცია მონოპოლისტ[illegible] ფორმებში. წარმოების წინსვლას ვერ აფერხებ[illegible] გარდამავალი პერიოდული კრიზისები და ისი[illegible] მხოლოდ მთელი სისტემის ზედაპირს ეხებოდენ, მ[illegible]შინ როდესაც მთლიანი ორგანიზმი ახალ სასიცო[illegible]ცხლო ძალებს იჩენდა. მსოფლიო მეურნეობ[illegible] ცენტრს დასავლეთი ევროპა წარმოადგენდა, რო[illegible]ლის მცირე სივრცეზე 300—350 მილიონი მცხო[illegible]რები იყო ჩაბმული მსოფლიო მეურნეობის დამა[illegible]ვშირებელ ჯაჭვების გასამაგრებლად, განსავითარ[illegible]ბლად. ევროპისათვის არა მარტო გეშები იტვი[illegible]თებოდა აზიისა და აფრიკის სანაპიროებზე ნედ[illegible] მასალით და საკვები პროდუქტებით, არამედ ა[illegible] ქვეყნებიდან ევროპისაკენ იზიდებოდა დიდძალ[illegible]ნება პროცენტებისა და მოგების სახით, რომ[illegible] კოლონიებში მოთავსებულ კაპიტალების პროდ[illegible] წარმოადგენდენ. საგარეო ვაჭრობას ხელს უწ[illegible] განვითარებული საზღვაო სავაჭრო ფლოტი დ[illegible] ერთაშორისო გაცვლა გამოცვლა იზრდებოდა [illegible] მარტო მასსით, არამედ ფასეულობითაც. ამ ურ[illegible] ერთობას მტკიცე საფუძველზე აყენებდა და ხ[illegible] უწყობდა სრულ ფასიანი ლითონის ფული.

მსოფლიო ომმა არა მარტო შეაჩერა ასე[illegible] წინსვლა და საზღვარი დაუდვა კაპიტალისტურ ხ[illegible]ურნეობის გაფართოებას, არამედ მან საფუძვე[illegible] გამოაცალა მას და უამრავ წინაალმდეგობათა სი[illegible]რტყეზე მოათავსა. სამხედრო ეპოქის გამომაბნელ[illegible] არაჩვეულებრივმა დაჭიმვამ, სასიცოცხლო ენერ[illegible] მოადუნა და მოღალა, რამაც ნაყოფიერობის დაც[illegible]მა გამოიწვია. მსოფლიო არა მარტო იმ გარემო[illegible]ბის გამო გაღარიბდა რომ ომმა აურაცხელი მატ[illegible]რიალური სიმდიდრე შეიწირა, არამედ იმითაც, რ[illegible] წარმოების ფარგლები შემცირდა ან და ჩვეულ[illegible]რივი პროპორციით ვერ განვითარდა. თვით [illegible] ქვეყნის ეკონომისტებიც კი, რომლის გამდიდრე[illegible] ასე ზღაპრულ არაკებს ქმნის ჩვენში, იმას ამტკიც[illegible]ბენ, რომ ომის შემდეგ შეერთებული შტატე[illegible] მცხოვრებთა უმრავლესობა იმაზე მდიდარი სრუ[illegible]ბით არ არის, როგორიც ის ომის წინ იყო. [illegible] ერთებული შტატების სამეურნეო შემოსავ[illegible] 1910—1919 წლ. გარეკნულად 31,4 მილიარდ დ[illegible]ლარიდან 65,9 მილიარდამდე გაიზარდა, მაგრ[illegible] თუ კი მხედველობაში მივიღებთ დოლარის მყიდ[illegible]ლობითი უნარის შემცირებას, 1919 წლ. შემოსა[illegible]

სა, დელეგატთა კრებისა და სხვა ორგანიზაციების წევრები. უჯრედის მთავარი დანიშნულება არის პოლიტიკური, პარტიის სასარგებლოდ მუშაობა, მაგრამ არ გვავიწყუდებოდეს, რომ ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვართ ქარხნისა.

პარტიული კოლლექტივების „თვითმპყრობელობა“ ეხლა უკვე გამონაკლისია და უნდა ვეცადნეთ იგი სრულიად გაჰქრეს. ჩვენი პარტიული უჯრედის მორიგი წევრის კულტურული დონის ამაღლება ჩვენი პარტიის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. უპარტიო მასებს სურთ მონაწილეობა მიიღონ საწარმოო, პროფესიონალურ და საბჭოთა ცხოვრებაში. ეს არის ძირითადი ფაქტი, რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ.

უნდა გამოვნახოთ გზა, თუ როგორ ჩავითრიოთ მუშაობაში ჯერ უფრო თვალსაჩინო წევრები უპარტიო მუშებისა, ხოლო შემდეგ უფრო ფართო მასები ამ მუშაობაში. ყველაზედ ბუნებრივი იქნებოდა, რომ პროლეტარულ ძალთა ჩარევა ჩვენს სამეურნეო და საბჭოთა აპარატებში ხდებოდეს პროფკავშირთა გზით. საჭიროა კიდევ გადაისინჯოს ფაბრკომების დამოკიდებულების საკითხი... (გამოტოვებულია) პროფკავშირები ნაკლებ მონაწილეობას იღებენ ჩვენი სამეურნეო ორგანოების ცხოვრებაში. ისინი აუცილებლად უფრო ახლო უნდა მოვიდნენ: საჭიროა გამოიძებნოს შესაფერისი ფორმა პროფკავშირთა კონტროლისა... (გამოტოვებულია).

ჩვენს შინაურ პარტიულ ცხოვრებაში ამ ბოლო დროს ემჩნევა შესუსტება, ხოლო ადგილ-ადგილ სრულიად მოდუხნება. საჭიროა ეს შინაური პარტიული ცხოვრება გაცხოველდეს, უფრო საინტერესო გახდეს, რომ ვიდგეთ საერთაშორისო ამბების სიმაღლეზედ, რომელიც მთელს ჩვენს ყურადღებას იპყრობს.

ჩვენი მთავარი უბედურება ის არის, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხები გადაწყვეტილი მოგვდის ზედ-ზედან ქვეით. ეს კი ავიწროებს ჩვენი პარტიის წევრების მთელი მასის შემოქმედებას და ასუსტებს პარტიულ უჯრედების თვითმოქმედებასა. მნიშვნელოვან ნაწილში ეს ჯერ-ჯერობით აუცილებელია. სამოკრატიულს პრინციპზედ აშენებული ჩვენი პარტია არ შეიძლება არ იყოს სასტიკად ცენტალისტური ორგანიზაცია. ეს ფაქტი ნაწილობრივად აიხსნა მით, რომ პარტიის მორიგ წევრების კულტურული და პოლიტიკური დონე მეტად ჩამორჩა ხელმძღვანელ წრეების დონეს, საუკეთესო მომუშავენი მთლიანად გართული არიან სამეურნეო და ადმინისტრატიულ მუშაობით და აღარა აქვთ შესაძლებლობა ღრმა ჩასწვდნენ პარტიულ მუშაობას ფართო მასებში. ნაწილი ამხანაგებისა, რომელთაც მინდობილი აქვთ განსაკუთრებით პარტიული მუშაობა, მუდამ ვეღარ სდგანან შესაფერის სიმაღლეზედ, რომელიც შეეფერება გათვითცნობიერებულ მასების მოთხოვნილებას.

ამ ამოცანას, რომელიც ახლა იჭერს მთავარ ადგილს. პარტიამ უნდა მიაქცოს მთელი თავისი ყურადღება. ჩვენი დასკვნა ასეა: საჭიროა ძალიერდეს პარტიის მორიგ წევრების აღზრდის მუშაობა. საჭიროა მხარი დაუჭიროთ გათვითცნობიერებულ უპარტიო მუშების კანონიერ სურვილს, მიიღონ მონაწილეობა საწარმოო, პროფესიონალურ და საბჭოთა მუშაობაში. საჭიროა პროფკავშირები უფრო ახლო მივიდნენ წარმოებასთან. საჭიროა ხელმეორედ გადაისინჯოს მუშათა მოძრაობის დღევანდელ მდგომარეობასთან შეფარდებით საკითხი ფაბკომებისა, პარტუჯრედებისა და პროფკავშირების ურთიერთობის შესახებ. საჭიროა.... (გამოტოვებულია)... ბრძოლა ცალკე მესაკუთრეთა ბოროტმქმედების..... (გამოტოვებულიმ)....

ᲠᲔᲓᲘᲝ-ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

(,,ზაკროსტას'' ცნობები 8 ნოემბრიდან.)

— გერმანეთში ფაშისტური მოძრაობის ხულის ჩამდგმელი არის ლიუდენდორფი.

მთავრობის ცნობით, ფაშისტთა გამოსვლა დანიშნულია ხუთშაბათს.

— შტრეზემანის მთავრობა და სოც.-დემ. არავითარ ზომებს არ იღებენ თავდაცვისათვის

— 6 ნოემბერს ბერლინში გრძელდებოდა დარბევა.

— კომპარტია მუშებს მოუწოდებს საერთო გაფიცვისაკენ

— რეიხსტაგის სხდომა გადაიდო გამოურკვეველ დრომდე

— გამოცხადდა პფანცის ავტონომია რეინის რესპუბლიკის ფარგლებში

— ტიურინგიაში რეიხსვერმა დაიჭირა ქალაქები და განაიარაღა პროლეტარული რაზმები

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

მთავრობის ცნობებით, ფაშისტური გამოსვლა დანიშნულია ხუთშაბათს. პომერანიაში, ბრანდენბურგში და სილეზიაში საიდუმლო ფაშისტური მებრძოლთა კავშირები გაფაციცებით ემზადებიან გამოსვლისათვის. როსბახის საერთო ხელმძღვანელობით. ჩრდილოეთ ბავარიაში გამოსვლას აწყობს ერხარდტი. ორივენი ემყარებიან ლიუდენდორფს. ფაშისტურმა კავშირებმა „ფოლადის ჩაჩქანი“ და „ფრონტოვიკთა კავშირი“ შტრეზემანს მიმართეს მოთხოვნილებით „ფრონტზედ ნამყოფ მილიონ ჯარის კაცთა სახელით, რათა დაუყონებლივ დაამყაროს ნაციონალური დიქტატურა“. საქსონიაში მოკალიზაცია უყვეს ყველა ნაციონალისტებს.

პარიზის გაზეთ „პტი პარიზიენის“ ცნობით, გერმანეთში ფაშისტური მოძრაობის სამხედრო და ტეხნიკურ მხარეებს ხელმძღვანელობს ლიუდენდორფი.

ლონდონის გაზეთ „მანჩესტერ გარდიენს“ ბერლნის კორესპონდენტი აცნობებს, რომ შაეი რეიხსვერის ყველა წევრს ბრძანება აქვს მიღებული, ეზად იყოს გამოსვლისათვის, ლიუდენდორფმა საბოლოოდ შეამზადა ბერლინის დაჭერის საქმე სამხედრო რაზმებით, რომელთაც თავს უყრის ბერლინის გარშემო—დიგერმიუნდიდან მოყოლებული მდოდერის ფრანკფურტამდე.

როგორც ცნობებია, ერხარდტს ჰყავს ერთი კარგად შეიარაღებული დივიზია და საიდუმლო კავშირები ბრანდენბურგში, პომერანიაში და სილეზიაში, რაც აგრედვე შეადგენს ერთ დივიზიას. ფაშისტებს იმედი აქვთ რეიხსვერის დახმარებისა. ორშაბათს მომხდარი დემონსტრაციები ბერლინში —პირველი მახარობლები არიან ფაშისტური გამოსვლისა. ფაშისტები დიდ აგიტაციას ეწევიან და უმუშევართა და დამშეულთ მოუწოდებენ დარბევა-ძარცვისაკენ, რათა ამით პოლიციის ყურადღება მეორე მხრისაკენ მიაპყრან და გამოიწვიონ ბერლინში ქაოსი.

გერმანეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული მოწოდება მიხვეულ-მოხვეულის გზით ადასტურებს ცნობას ფაშისტთა კავშირების მიერ წარდგენილ ამეტარგიის გზით კარჩაკეტილობისაკენ მიიმართეა. მაღალი ტარიფები კიდევ უფრო ამწვავებენ სი[illegible] გათანასწორების ტენდენციებს [illegible] ნომიური ომის მთელი სიმძიმე ეჭვს გარეშეა მოსახლეობის დაბალ ფენებს აწვება და გამოსადეგი ხდება იმ უმცირესობისათვის, რომელიც მაღალ მოგებას იღებს მეტოქეთა ჩამოცილების გამო.

თუ კი ყოველივე ამის შემდეგ მსოფლიო მრეწველობის სხვა და სხვა მნიშვნელოვან დარგებს გადავხედავთ, დავინახავთ, რომ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მათ არ რგუნებიათ. ავიღოთ მაგ. უმნიშვნელოვანი დარგი—ქვანახშირის მოპოება. ერთადერთი ქვეყანა რომელიც მაღალ კონიუნქტურაზე იდგა ომის შემდეგ შეერთებული შტატებია, რომელიც 1921 წლიდან კრიზისის გავლენას მაინც ვერ ასცდა. ინგლისში ნახშირის ამოღების ციფრები 1887 წლის ამოღების ციფრებს გაუთანასწორდა. საფრანგეთის შესახებ კი აი—რას ამბობს ფრანგი ფრანინ დელეიზი: „საფრანგეთი არა თუ შორს არის იმისგან, რომ მას ესაჭიროებოდეს ამის მიერ დანგრეული ნახშირის მაღაროების აღდგენა, არამედ მას არ შეუძლია იმ ნახშირის გამოყენებაც კი, რომელიც მტრის განადგურებისაგან გადარჩენილ მაღაროებიდან ამოაქვთ“. უფრო უკეთ არის საქმე ნავთის მხრივ, რომლიდან 87 პროც. შეერთ. შტატებსა და მექსიკაზე მოდის.

კიდევ უფრო უარესია მდგომარეობა რკინისა და ფოლადის წარმოების მხრივ; ნაყოფიერობა ამ დარგებში 34—35 პროცენტით არის დაცემული 1913 წელთან შედარებით. საერთო კრიზისმა გავლენა იქონია ფრიხტზეც. ერთ დროს ფრიხტები იმდენად მაღალი იყო, რომ მსოფლიო ვაჭრობის შემცირებას მას მიაწერდენ. ასეთმა მდგომარეობამ გეგმების გაძლიერებული მშენებლობაც კი გამოიწვია. კრიზის შემდეგ ფრახტი მეტად დაეცა და გემების მშენებელი მრეწველობაში მნიშვნელოვანი დაშლა შეიტანა.

კრიზისის შედეგები ზრდის უმუშევართა ლაშქარს. პირველ რიგში ამ მხრივ ინგლისი, შეერთებული შტატები და შვეიცარია დგას. მაგრამ არც იმ მუშათა მდგომარეობაა სანუგეშო, რომელნიც წარმოებაში არიან ჩაბმულნი. მათი სამუშაო ხელფასი საგრძნობლად იქნა შემცირებული ომის შემდეგ წლებში.

ზევით ჩვენ აღვნიშნეთ სამხედრო ხარჯების სიდიდე და დავალიანება. ორივე ამათგანი ცხადია მძიმე ტვირთად აწევს. სახელმწიფოთა ბიუჯეტებს. მეორეს მხრივ ფართო ღონიძიებითაა მიღებული ხარჯების მისაღებად. იზრდება არა მარტო სახელმწიფო, არამედ ადგილობრივი ხარკები; ყოველივე ამის გამო ინგლისის და ამერიკის გაზეთები ხშირად მოსთქვამენ.

ასეთი არის გაკვრით მსოფლიო მეურნეობის მდგომარეობა. ეკონომიური წინააღმდეგობანი და ბრძოლები არა თუ არ შენებულა ომის შემდეგ, არამედ კიდევ უფრო მეტი სიმძლავრითა და სისულტიმატუმის შესახებ, მოწოდებაში ნაჩვენებია: „ზოგიერთი წრეები ცდილობენ გაელენა მოახდინონ მთავრობაზე და სამოქალაქო ომით ემუქრებიან მას. მთავრობა მთელი [illegible] დეგობას გაუწევს მათ, [illegible] სახელმწიფოს მთლიანობა [illegible] სუფლება და წესიერება. [illegible] ვერ გაუმჯობესებს საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობას, პირიქით გაალრმავებს ფინანსიურსა და სამრეწველო კრიზისს და სეპარატიულ მოძრაობის საშიშროებას.

შტრეზემანი, გესლერი და გენ. სეეტი წინააღმდეგნი არიან „რესპუბლიკანურ თავდაცვის“ რაზმების შედგენისა, რადგანაც სთვლიან, რომ რეიხსვერი და პოლიცია შესძლებენ მემარჯვენეთა შეტევის მოგერიებას. სოც. დემ. არავითარ ზომებს თავდაცვისათვის არ იღებენ და კმაყოფილდებიან მომავალ საფრთხის აღნიშვნით.

მიუხედავად ნაციონალურ პარტიის პროტესტისა, რეიხსტაგის მამასახლისთა საბჭომ გადასდო რეიხსტაგის სხდომა გამოურკვეველ დრომდე.

ბავარიიდან მიღებულ ცნობებით, დიდი მზადება სწარმოებს იქ ფაშისტთა გამოსვლისათვის. ერხგარდტის ბრიგადა მოითხოვს დაუყოვნებლივ გალაშქრებას ბერლინზედ.

კომპარტია არალეგალურად ავრცელებს მოწოდებას მუშების მიმართ, რომელშიაც მოითხოვს გაფიცვას, თუ გამოვიდნენ ფაშისტები.

6 ნოემბერს ბერლინში ასევ გრძელდებოდა სავაჭროების დარბევა და გამვლელთა ცემა. დარბევების გამო აღკრძალულია ტევტონთა პარტიის კრებები.

პარლამენტის წრეებში შტრეზემანის კანდიდატურას კანცლერის ადგილზედ და მცირე კოალიციის შექმნის პროექტს უარყოფითად გადაწყვეტილად სთვლიან. კანცლერის ადგილზედ მემარჯვენეთა კინდიდატად სთვლიან ყოფილ იუსტიციის ძინისტრს, გეინცეს.

ნიუ იორკის გარდა გერმანიის მარკის ტრიალი შესწყვიტა აგრედვე კოპენჰაგენისა და შვეიცარიის ბირჟამ.

ცეიგნერი დაინიშნა საქსონიის სასამართლო პალატის თავმჯდომარედ.

სეპარატისტების რაზმი დორტენის ხელმძღვანელობით შეივიდა პფანცში. გამოცხადდა პფანცის ავტონომია რეინის დამოუკიდებელ რესპუბლიკის ფარგლებში. რეინის რესპუბლიკის კომისრად პ ფან-

---

ლი 37,3 მილიარდს შეადგენს. რა ძირითად ფაქტებსა და ნიშნულობებში გამოისახა ომის შემდეგ ვაკაპიტალისტურ მსოფლიოს [illegible]

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ის ხარჯები, რომელიც ომმა გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ ამ სამხედრო ხარჯების გამოანგარიშება სიძნელეს წარმოდგენას და მისი სრული აღნუსხვა შეუძლებელია, შემდეგი ციფრები მაინც დაახლოებით წარმოადგენს გვაძლევენ გაწეული ხარჯების შესახებ (ამერიკელი ავტორის Leonarb Ayres მიხედვით) ფრანკებში პარტეტის მიხედვით:

დიდი ბრიტანეთი	— 190	მილიარდი,
შეერთ. შტატები	— 160	„
საფრანგეთი	— 143	„
რუსეთი	— 92	„
იტალია	— 65	„

ამ ხარჯების შეზღუდვა ომის დასრულების შემდეგაც არ მომხდარა. დღესაც იარაღს ქვეშ უფრო მეტი ჯარის კაცების, ვიდრე მსოფლიო ომის დაწყების წინ იყო. ეჭვს გარეშეა, რომ ასეთი მდგომარეობა ქმნის საბიუჯეტო დეფიციტს, ქაღალდის ფულების ინფლიაციის და სახარკო და საგადასახადო პრესის კიდევ უფრო მეტ დაწოლვას ყოველივე ამას კი თავის მხრივ ბაზარზე გადააქვს გავლენა და მყიდველობით უნარი თან და თან ეცემა.

ევროპის დავალიანების სურათი კიდევ უფრო აძლიერებს მსოფლიო სამეურნეო კრიზისის მდგომარეობას მსოფლიო ომამდე ევროპის შინაური და საგარეო ვალები 7 მილიარდ გირ. სტერლინგს აღწევდა 300 მილიონ გირ. სტერლ. ყოველწლიური პროცენტით; დღეს ეს თანხა 85 მილიარდს აღწევს 4 მილიარდ გირ. სტერლ. პროცენტით. თუ კი ამ თანხას მიუმატებთ ვერსალის ხელშეკრულობით გერმანიაზე დაკისრებულ 132 მილიარდ ოქროს მარკის კონტრიბუციის, მივიღებთ ისეთ თანხას, რომელიც ასჯერ მეტი არის, ვიდრე ამ ჟამად ევროპის ბანკებში არსებული ოქროს მარაგი.

ყოველივე ამის შედეგი არის გაძლიერებული ემისია ქაღალდის ფულებისა; ქაღალდის ფულის ინფლაციის ზრდა შესაფერი საქონლის ბაზრების განუვითარებლობის გამო, ყველა ქვეყნებში დაბლა სცემს ფულის მსყიდველობით უნარს და ვალიუტის ფასების ურთიერთ დამოკიდებულება სწრაფ ცვალებადობას განიცდის. მაშინ როდესაც მაგ., ინგლისური გირ. სტერლინგი თავის პარიტეტთან 91 პროც. წარმოადგენდა გასული წლის დამლევს, ფრანკი მხოლოდ 30 პროც. შეადგენდა, იტალიური ლირა—22 პროც, გერმ. მარკა 0,15 პროც. კონიუნქტურის შემდეგი განვითარება ამ სურათს კიდევ უფრო აძლიერებს (განსაკუთრებით მარკის მიმართ, რომლის კატასტროფიული დაცემა საათობით სწარმოებს):

აღნიშნული მოვლენები კიდევ არ იქნებოდა საბედისწერო კაპიტალისტურ მეურნეობისათვის, რომ ამავე დროს სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვან ცვლილებებს არ ქონდეს ადგილი მსოფლიოს მეურნეობაში. ძველ ინდუსტრიალურ ქვეყნებს მსოფლიო ომმა ახალი მეტოქეები გაუჩინა ოკეანის იქით მდებარე ქვეყნებში, რომელნიც აქამდე უმთავრესად [illegible] გზა ფაბრიკატების გასაღების ეწეოდენ. ამ ქვეყნებში ომის განმავლობაში თანდათან ფეხი მოიდგა ინდუსტრიამ და დღეს ინდოეთი, სამხრეთი აფრიკა, ავსტრალია, კანადა მთელ რიგ სამრეწველო დარგთა აყვავების ტენდენციითაა მოცული. ომის შედეგ შექმნილმა კონიუნქტურამ თავის გავლენის სფეროს გარეშე არ დასტოვა არც ეს ქვეყნები და თვით ამ ახალი სამრეწველო წარმოებათა აღორძინებამ რამოდენიმეთ ხელის შემწყობი გავლენა იქონია მსოფლიო კრიზისზედაც.

ამას გარდა მსოფლიო ომის შემდეგ სრულ მეურნეობამ ევროპაში მნიშვნელოვანი დაცემა განიცადა და ის რეგრესის გზაზეა დამდგარი. სასოფლო მეურნეობის სივრცეთა გადიდება ამ კრიზისს ვერ შველის და ევროპა ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს; ამერიკისა და კანადის პროტექციის ზრდა კი ევროპის დანაკლისს ვერ ავსებს, რადგან ევროპის ქვეყნებს არა აქვთ საშვალება სამაგიერო ეკვივალენტი შექმნან.

მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილმა ნორმალურ ვაცვლა-გამოცვლის პრობებმა და მეტოქეობის გაბნელებამ ეკონომიურ პოლიტიკის ყურადღება იქით მიაპყრო, რათა სამრეწველო დარგები იმავე პირობებში დარჩენ, რომელშიაც ისინი აღორძინდნენ ომის პერიოდში. საშვალება ამისათვის კი მფარველობითი პოლიტიკა არის. გრძელვადიანი სავაჭრო ხელშეკრულებანი და მტკიცე საბაჟო ტარიფები დავიწყებას ეძლევა და სავაჭრო პოლიტიკა ავტონომიური გზით იკაფება. შეერთებული შტატები თავისი საბაჟო ტარიფით პირველ რიგზეა ამ გრძელაში. ახალი საბაჟო ტარიფი ამერიკისა სარეკორდო ციფრებს ქმნის ბაჟებისას; მატყლისა და აბრეშუმის ბაჟი 34—59 პროც. შეადგენს ღირებულებისას, შაქარი— 68 პროც., ფარფორი და მინა— 47—61 პროც., ფუფუნების საგნები—38—184 პრ. ზოგიერთი საქონლის ბაჟების ამატება ოთხჯერ მეტია, ვიდრე ახალ ტარიფამდე იყო. ამერიკის პრეზიდენტს, გარდა ამისა უფლება აქვს კონგრესის დაუკითხავად საჭიროების დროს ეს ტარიფი 50 პროცენტით გაადიდოს. მსგავსსავე გავლენას ქვს ადგილი ინგლისში: 1914 წლისა და 1919 წლის კანონებით მთელი რიგი შეზღუდვისა არის დაწესებული უცხოელთა და უცხოეთის საქონელთა მიმართ. საფრანგეთსა და ბელგიაში საბაჟო მფარველობა უმთავრესად გერმანიის წინააღმდეგ არის მიმართული. მთელი რიგი ნეიტრალური ქვეყნებისა ამავე პოლიტიკას ახორციელებენ. გერმანიის მიმართ კი, საუცხოოდ დამახასიათებელია გარმსის მიერ მოყვანილი ფრიდრიხ ლისტის სიტყვები: „გერმანიის საქონლები გამოძევებულია მთელი ქვეყნის ბაზრებიდან, ხოლო მთელი ქვეყანა კი გასაღების სრული თავისუფლებით სარგებლობს გერმანიაში“.

ერთი სიტყვით, ეკონომიური ბრძოლა ყველასი ყველას წინააღმდეგ კვლავ იყენებს მერკანტილისტურ ბრძოლის მეთოდებს და სამეურნეო

[illegible] ბარე [illegible] ბაზრებზე. ამ [illegible] ბაზრებზე. ამ [illegible] ბაზრებზე. ამ

ცში დაინიშნა პუანდის აგრარიების კავშირის თავმჯდომარე გეინცე.

ტიურინგიაში გაგზავნილმა რეიხსვერის ნაწილებმა, ბავარიის ნაციონალისტების თავდასხმის თავიდან აცილების მაგიერ, იწყეს პროლეტარულ რაზმების განიარაღება და დაიპირეს ტიურინგიის სატახტო ქალაქი ვეიმარი.

რეიხვერმა ტიურინგიაში დაიპირა მთელი რიგი ქალაქებისა, სადაც განაიარაღა პროლეტარული რაზმები.

ახალი ამბები

— **ახალი დადგენილება საბინაო ჭირის შესახებ.** ქ. აღმასკომის საბჭომ გამოიმუშავა ახალი დადგენილება საბინაო ჭირის შესახებ, რომელიც დამტკიცებული იქნა საქ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ.

— **საქართველოს მუზეუმის გადახალისება.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო გამოსაქვეყნებლად განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი საქართველოს მუზეუმის გადახალისების შესახებ.

— **სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო.** სახელმწიფო ვაჭრობის ეთ ორგანოში შეერთების მიზნით, უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ აუცილებელ საჭიროდ სცნო ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოს უფლებების გაფართოება, რომელიც იარსებებს ცენტრალურ სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს სახელწოდებით.

— **საქართ. საბჭოთა რესპუბლიკის 19_3—24 წლის ბიუჯეტის განხილვა.** საქ. სახალხო კომისართა საბჭომ საქ. რესპუბლიკის 1923—24 წლის ბიუჯეტის განსახილველად დანიშნულ კომისიაში შეიყვანა ამხ.-ები: ლომინაძე, ქართველიშვილი და ყურულაშვილი.

— **სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ დეკრეტის პროექტი განსახილველად გადასცა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს კოოპერატიულ სამმართველოს.

— **შემოსავალი საძოვარ ადგილებიდან.** ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა მიიღო დეკრეტი საძოვარ ადგილებიდან შემოსავლის შესახებ.

— **სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარე.** ა. კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტთან არსებულ სამხედრო რევტრიბუნალის თავმჯდომარედ დაინიშნა ამხ. გიორგი ჩხეიძე.

— **შრომის ბირჟა.** 6 ნოემბერს აღრიცხვაზე გამოცხადდა 114 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—66. გაიგზავნა სამუშაოზე—42 უმუშევარი.

— **[illegible].** პროფ.-განათლების მთავარ-მმართველობამ თხოვნით მიმართა სამხედრო კომისარიატს, რათა დაუთმოს მან სახელმწიფო უნივერსიტეტს გეოლოგიური კაბინეტისათვის, ვერის ყაზარმის ეზოში აღმოჩენილი ძველი ორნამენტიანი ქვის ფირფიტები.

— **განათლების ინსტრუქტორთა შესახებ.** სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობის კოლეგიამ დაადგინა, რომ ტფილისის განათლების განყოფილების მთავარი ინსტრუქტორი, თავის მუშაობის ანგარიშს უდგენდეს განთ. კომისარიატის საინსტრუქტორო განყოფილებას.

— **ხელს წყობის გადაცემა.** პროფ.-განათლების მთავარ მართველობამ დაადგინა 76 შრომის სკოლას გადაეცეს მე-8 ტექნიკუმის ფიზიკური კაბინეტის ზოგიერთი ხელსაწყო.

— **უმუშევართა სამშობლოში გაგზავნა.** ოქტომბრის განმავლობაში შრომის ბირჟის მიერ სამშობლოში გაგზავნილი იქნა ოთხმოცდა-ორი უმუშევარი.

— **დაზღვეულ უმუშევართა რიცხვი.** ამ ჟამად სულ დაზღვეულია 2,883 უმუშევარი.

— **დაზღვეულთა ფურცლები.** უმუშევართა დაზღვევის განყოფილება ამით იუწყება დაზღვეულთა საყურადღებოდ, რომ დაზღვეული უმუშევარი ფურცლები ძალაში რჩებიან ორი კვირის განმავლობაში დღიდან გამოცხადებისა რომლის გადაც დენის შემდეგ ფურცლებს ეკარგებათ თავისი ძალა.

— **გლეხთა სახლე.** ოზურგეთის, ქუთაისის ტფილისის, სიღნაღის, შორაპნის, ბორჩალოს და ზუგდიდის მაზრების საურთიერთო დამხმარე გლეხთა კომიტეტების სამაზრო ყრილობებმა დადგენილება მიიღეს შუამდგომლობით მიმართონ მთავრობას ხელი შეუწყოს გლეხობას მუშათა სახლის გვერდით ტფილისში მოაწყობენ გლეხთა სასახლის გვერდით ტფილისში მოაწყონ გლეხთა სასახლე. ყრილობებმა დაადგინეს გლეხთა სასახლის ასაგებათ თავის მხრივ გაიღონ საჭირო თანხა

— **რუსეთის შაქრის ტრესტის განყოფილება ამერ-კავკასიაში.** ოუსეთის შაქრის ტრესტი უახლოეს მომავალში ამიერ კავკასიაში და სპარსეთში ჰხსნის თავის განყოფილებებს.

— **კინო სურათების ჩამოტანა საზღვარგარეთიდან.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა ნოემბრის გასულს მოიწვიოს ა. კ. კავკასიის რესპუბლიკათა კინო წარმომადგენელთა თათბირი, საზღვარ-გარეთიდან კინო-სურათების და საჭირო მასალების ჩამოტანის მიზნით.

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 4 ნოემბერს შეპყრობილ იქნა მოქ. გრიგორიევი, რომელსაც ბრალი ედებოდა ჯიბგირობაში. შეპყრობილი გამოტყდა დანაშაულში.

— **ტუსაღის შეპყრობა.** 30 ოქტ. მე-4-ე სამილიციო რაიონის სატუსაღოდან გაქცეული ტუსაღი იოსებ მიკირტუმოვი შეპყროლ იქნა 5 ნოემბერს.

— **ბინის გაქურდვა.** გაქურდული იქნა სანაპირო ქ. № 4 სახლში მკხოვრებ ივან კულიმოვის ბინა საიდანაც წაიღეს სხვა და სხვა საოჯახო ნივთები, ღირებული ორ მილიარდ მანეთად.

— **ვალიუტის კურსი.**

2 სექტემბერი.

ჩერვონეცი	100.000 მ.
სტერლინგი ეფექ.	92,000 „
ჩეკი.	78,500 „
დოლარი ეფექ.	22,500 „
ჩეკი.	21,000 „
ოსმალური ლირა	11,100 „
საბჭოთა ფული	14,500 „

პროვინციის ცხოვრება.

— **კოოპერატივის გაქურდვა.** ამ დღეებში, ბათომში, ღამით გაქურდეს კოოპერატივი. წაიღეს მანუფაქტურა. წაღებულის გარდა ბევრი საქონელია გაფუჭებული. ზარალი დაახლოვებით 2,000 ჩერვონეცის მანეთს უდრის. ზარალი მეტად საგრძნობია აჭარისტანში ახლად ფეხ მოკიდებულ კოოპერაციისათვის.

— **ციმბირი ჭირი.** ბოლო დროს სოფ. [illegible]ლოსა და მის მიდამოებში თავი იჩინა საქონლის ავადმყოფობამ—ციმბირის ჭირმა. იყო შემთხვევა ამ სენის ხალხზედ გადასვლისაც. ჯანმრთელობისა და მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ მიღებულია საჭირო ზომები ეპიდემიის ლიკვიდაციისათვის.

— **მეხილეთა ყრილობა.** 4 ნოემბერს გორში გაიხსნა ქართლის მეხილეთა ყრილობა, რომელზედაც ცენტრის წარმომადგენელნიც ჩამოვიდნენ. ამავე დღეს გაიხსნა მეხილეობის გამოფენა, რომელზედაც ბევრი სხვა და სხვა გვარი ექსპონატებია წარმოდგენილი.

სამტრედია.

— **ქალაქის გამშვენიერება.** ამ ჟამად ელვის სისწრაფით სწარმოებს ადგილობრივ ბაღის მოწყობა. უმთავრესი სამუშაო უკვე დამთავრებულია.

— **შენობათა შეკეთება.** აღმასკომის ხარჯით სწარმოებს რამდენიმე დაზიანებულ თუ მთლად დანგრეულ შენობათა აღდგენა-განახლება.

— **თეატრის რემონტი.** დაიწყეს ქალაქის თეატრის რემონტი. რემონტი კაპიტალურია, ძველ დაზიანებულ თეატრს კედლები უკვე შემოაცალეს და ახლად აგებენ.

მოქალაქენი დიდის სიხარულით ეგებებიან თეატრის რემონტს.

— **ჭლექი.** სოფლებში გახშირდა ჭლექით სიკვდილი. უმთავრესად იხოცებიან მცირე წლოვანი. თვით სამტრედიაში იყო ორი შემთხვევა.

——

შეცდომის გასწორება.

გაზეთ „ტრიბუნის“ 7 ნოემბრის № 615-ში ამხ. ი. ვადაჭკორიას წერილში: „ჩვენი წარსული აწმყო და მომავალი“ დაშვებულია რამოდენიმე კორექტორული შეცდომები.

ნათქვამია: „ებმებოდენ ყოველდღიურ ბრძოლაში **მენშევიკურ ელემენტებთან ერთად...**“ უნდა იყოს ხაზ გასმულ სიტყვების მაგიერ: **„კომუნისტურ ელემენტებთან ერთად...“** და სხვა.

სწერია: **„ჩამოსულიყენენ“**... უნდა იყოს: „ჩამოსცილდნენ“ და სხ.

სწერია: **„მ[illegible]რომელი სიტყვები...“** უნდა იყოს: „მშრალი სიტყვები“ და სხ.

ხელოვნება

სახალხო სახლის ქართულ დრამის ნივთიერი მდგომარეობა

ყველასათვის ცხადია თუ რა დიდი ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის სახალხო სახლში მომუშავე დრამატიულ წრეს ამ 30 წლის განმავლობაში მუშათა წინაშე.

ყველამ ვიცით ისიც, რომ აქ მომუშავეთ ამოქმედებდათ და დღესაც ამოქმედებთ უმთავრესად იდეური მხარე თვისი მუშაობისა. მრავალ წლების განმავლობაში ეს წრე სრულიად უსასყიდლოდ მოღვაწეობდა აქ და ხშირად თავიანთ ჯიბიდანაც-კი იღებდნენ საჭირო წვლილს როდესაც-კი ეს აუცილებელი გარემოება მოითხოვდა.

ყველას მოეხსენება თუ ეხლა რა კარი ცხოვრების პირობებია და რა გვარს ნივთიერს გაჭირვებას განიცდის ყოველი ჩვენგანი. ეს ამ გვარ მდგომარეობით დიდს ნივთიერს გაჭირვებას განიცდიან აგრედვე სახალხო სახლში მომუშავენი როგორც მსახიობნი, აგრედვე გამგეობაც, რომელსაც არა აქვს საშუალება. დაამაყოფილოს აუცილებელი საჭირო მოთხოვნილებანი. თავისთავად ცხადია თუ რა მძიმე და შეუძლებელია ისეთს პირობებში საქმის სათანადოდ გაძღოლა. გამგეობამ დიდი ენერგია და შრომა გამოიჩინა ამ სამი თვის განმავლობაში, რათა სეზონი გაეხსნა.

არსაიდან დახმარება არა ჰქონია მას, და არც საკუთრივ გააჩნდა რამე, მაგრამ საქმის უანგარო სიყვარულმა სძლია ყოველივეს და გამგეობამ შესძლო ვალის აღებით სეზონის გახსნა და მოქმედების დაწყება. ეს ღრმად იყო დარწმუნებული, რომ შემდგში მას დახმარებას აღმოუჩენდნენ სათანადო ორგანოები.

შედეგიც ისეთი მუშაობისა ეხლა ნათელია, იქგამამართულ წარმოდგენებმა ეს ნათლად დაამტკიცეს და პრესაშიაც აღნიშნული იყო მათი მუშაობის წარმატება.

ყველა ამის შემდეგ არ შემიძლიან არ აღვნიშნო მეტად გულსატკენი მოვლენა მე სრულიად შემთხვევით მომიხდა ყოფნა ამ ორიოდე დღის წინ სახ. სახლში მომუშავე წრის საზოგადო კრებაზედ, რომელიც მოწვეული იყო ნივთიერ მდგომარეობის საკითხის მოგვარება გამოსარკვევათ. აქ გამოირკვა ჩემთვის რომ მეხუთე წარმოდგენა დაიდგა. ამ თეატრში თითქმის 3 თვეა, რაც მუშაობენ და ამ ხნის განმავლობაში არავითარი ნივთიერი დახმარება ან ჯამაგირი არ მიუღიათ აქ მომუშავეთ, თვით ტეხნიკურს პერსონალსაც კი რომელნიც საქმეს აწარმოებენ. გამგეობას არა აქვს ამის დაკმაყოფილების საშუალება, თავისთავად ცხადია რომ თეატრის შემოსავალი და ის სახალხო ფასები, [illegible] ამ [illegible] ყველა ის ხარჯებს, რომელიც თეატრსა აქვს.

ამისათვის აუცილებლივ საჭიროა, რომ ამ თეატრსა და დასს მიეცეს მთავრობის დახმარება რათა აქ არ შესწყდეს და შეჩერდეს ეს კულტურული მუშაობა, რომელსაც ესოდენი სარგებლობა მოუტანია მშრომელი ხალხისთვის.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არამც თუ რაიმე ჯამაგირი, არამედ თურმე თვით მსახიობნი თავიანთის ღარიბ ჯიბიდან იხდიან წარმოდგენისათვის ზოგიერთ საგანის მაგალითად ტანისამოსის ან რაიმე სხვა საჭირო ნივთის ქირას!. ამას გულის ტკივილით აღნიშნავდენ მსახიობნი კრებაზედ ამასთანავე თავიანთი ჯიბიდან ყიდულობენ საჭირო მასალებს გრიმისათვის.

ამას დაუმატეთ ტრამვაის ხარჯი, რომელიც მათა სჭირდებოდათ რეპეტიციებზედ მოსასვლელად [illegible] ბენ და ნათლად წარმოიდგენთ მათ მდგომარეობას.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ აქ მომუშავენი არიან უმთავრესად მუშა-მოსამსახურენი, რომელთაც არ შეუძლიანთ ამ ხარჯების გაღება. ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა უნდა, რათა ოდნავ მაინც უზრუნველყონ იგინი ნივთიერად, მათ საშუალება უნდა ქონდეთ რომ განაგრძონ სახ. სახლში მუშაობა.

ჩვენ კიდევ გავიმეორებთ, რომ სახალხო სახლი თავისი დამსახურებით მეტი ყურადღების ღირსია. მასა აქვს ბრწყინვალე წარსული ამასთანავე ეს ერთად ერთი მუშათა თეატრია რესპუბლიკის დედა ქალაქში, სადაც ხელოვნების სამსახური შეა საფერისს ღირსეულ დონეზეა დაყენებული. ჩვენ ორმადა გვრწამს, რომ ძალიან მალე გააუმჯობესებენ სახ. სახლის ნივთიერ მდგომარეობას რათა იგი ჩაქრეს მშობლიურ ხელოვნების ლამპარი.

ვ. ბ.

——

სომხური თეატრი. ერევანში გაიხსნა სახელმწიფო დრამის წარმოდგენების სეზონი, პირველად დაიდგა უავილდის „სალომე“ და „წმინდა ანტონის საკვირველება“ მეტერლინკისა. ამ დღეებში ტფილისის სომხური დრამის რეჟისორი ა. ბურჯალოვი გაემგზავრა ერევანს რამდენიმე ახალი პიესების დასადგმელად.

——

ძოსკოვის სამხატვრო თეატრის 25 წლის იუბილე რომელიც 27 ოქტომბერს იქნა აღნიშნული არ ქონდა ოფიციალური ხასიათი, ვინაიდან უმთავრესი ძალები დასისა ოუსეოში [illegible] ამიტომ დღესასწაული იქმნა გადახდილი თეატრის მსახიობთა და სამხატვრო თეატრის სტუდიელთა ვიწრო წრეში. მოსკოვის აღმასკომმა დაადგინა, რომ სახ. მსახიობის წოდებით იქმნან დაჯილდოვებულნი, ვ. ი. ნემიროვიჩ დანჩენკო, და კ. სტანისლავსკი, მხოლოდ მსახიობთ მოსკვინ—ს, ლილინ-ს ჭნიპერ—ს და დუჟსკის ებოძათ აკადემიურ თეატრების დამსახურებულ მსახიობთა წოდება, ამასთანავე იუბილეს აღნსანიშნავად კამერგერის გასავალს, სადაც მოთავსებულია თეატრი ეწოდა „სამხატვრო თეატრის გასავალი“.

——

კინო-წარმოება. საბჭოთა რუსეთში ოქტომბრის დღესასწაულებისთვის დამზადეს № 19 „კინო სიმართლე“ რომელიც მიძღვნილია საკავშირო გამოფენისათვის. სურათი გაყოფილია შემდეგს თემებზედ: პოლიტიკური მეურნეობის, და გამოფენის საერთაშორისო მნიშვნელობაზედ, ნაჩვენებია მრეწველობა, ექსკურსანტები, თვითმშრომელი მწარმოებელნი და სხვა.

——

პროლეტკინო ამზადებს მთელ რიგ მწარმოებლობითს ხასიათის სურათებს „კოოპერაცია“ „აღმშენებლობა“ „სიკვდილ სიცოცხლის ქსოვა“ საერთო ფეიქართა პროფკავშირის თემაზედ და სხ.

——

სახალხო სახლის წიგნთ საცავი. სახ. სახლის ქართულ დრამის გამგეობას გადაეცა კ. შათირიშვილის წიგნთ-საცავი, განსვენებულის ანდერძის თანახმად.

——

სახალხო სახ[illegible]ი სახალხო ქართული დრამ[illegible] დასმა აირჩია გამგეობა შემდეგი პირებისაგან [illegible] ახვლედიანი, კ. საღირაშვილი, გ. აბელიშვილი, [illegible] ბესელიძე. გამგეობაში შედიან აგრედვე პროფესი[illegible] ონალურ კავშირების 2 წარმომადგენელი.

——

ტერენტი გრანელის საღამო. კვირას ნოე[illegible] ბრის 11 ს. რუსთაველის თეატრის საინსტიტუტ[illegible] დარბაზში გაიმართება ტერენტი გრანელის საღამ[illegible] [illegible] „პოეტი და სევდა“ გ. ხ[illegible] დირაძე „ტერენტი გრანელი“ გამოვლენ პოეტებ[illegible] და მწერლები: გალაქტიონ ტაბიძე, ს. შანშიაშვ[illegible] ლი, ხარიტონ ვარდოშვილი, ობოლი მუშა [illegible] ვარლამ რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ვასილ ბარნოვ[illegible] შიო არაგვისპირელი, შიო ქიაჩელი, შიო მღვიმ[illegible] ლი, დარია ახვლედიანი, დემნა შენგელაია და ს[illegible] ვები.

——

— **ქართული კონცერტი.** დღეს ნოემბრ[illegible] ცხრას სახალხო სახლში მორიგ წარმოდგენასთ[illegible] ერთად გაიმართება ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი კ. ფოცხვერაშვილისა. ამ კონცერტზე [illegible] ჯამოდგება აღებული ბილეთები იმ გადადებულ სა[illegible] მუსიკო საღამოსი, რომელიც უნდა შემდგარიყო [illegible] ა. წ. სექტემბრის 27 „ახალ წრეში“ წარმოდგენილი [illegible] იქნება ტ. რამიშვილის პიესა „ბედის წერა“ საკონ[illegible] ცერტო განყოფილებაში მონაწილეობენ ტფილისის [illegible] საუკეთესო ახალგაზრდა დამკვრელნი და მომღერალნი. ქართული ქალ-ვაჟთა გუნდი შეასრულებს ჩვენი კომპოზიტორების მიერ ახლად დამუშავებულ ჰანგებს. ამ კონცერტზე პირველად შესრულებული იქნება რამდენიმე სიმღერა ახლად გამოსულ „რევოლიუციის სიმღერათა კრებულიდან“.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დავკარგე პარტიული მანდატი № 189 მოცემული მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის ტფილისის კომიტეტიდან. იპატი ღლონტის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად.
№ 460.

გაზეთი „ტრიბუნა“
ნოემბრის 1-დან ეღირება:

პროფკავშირთა წევრებისათვის	
თვიურად	7.000.000 მ.
დაწესებულებათა და კერძო	
პირთათვის	9 000.000 „
ცალკე ნომერი	500.000 „

[illegible] 1923 [illegible]ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარ მართველობის მიერ № 799 სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, [illegible] № 4